ცნობის ფურცელი

№ 1983 ოთხშაბათი, 13 ნოემბერი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1983

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

დღევანდელ ნომერთან „ცნობის ფურცლის" პროვინციელ ხელის-მომწერთ ფულის გამოსაგზავნი ფურცლები (კონვერტები) ეგზავნებათ.

წარმოდგენა 14. ტელეფონი 617

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 14 ნოემბერს, 1902 წელს

—{ ნინო ჩხეიძის საბენეფისოდ }—

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

პირველად განახლების შემდეგ

მუშაკი და ნებიერი

(Le Maitre de forges)

კომედია 4 მოქ. და 5 სურ. ჟორჟისა. თარგ. ვ. ყიფიანის მიერ

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რიონელი, როსტომაშვილი, ნ. ჩხეიძე და სხვანი; ბ-ნნი: დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, რომანიშვილი, ქლენტი, რკინელი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად **„მეცრმოცუხრე ძმები"**, **„ჯოვერდიის მკვლელობა"**, (კ. მესხის ბენეფისი), **„მწუხ მოკვდებულნი"**.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახ. იაშნაძისა. (წ).

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

(მიხეილის ქუჩა, 30.—ტელეფონი 450).

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილით 10—1 საათამდე და საღამოთი 6—8-მდე.

ქართველ თავად-აზნაურთა თეატრი

(ტელეფონი № 617)

დღეს, ოთხშაბათს, 13 ნოემბერს, ხარკოვის სათამაშო დასის მიერ

ქ-ბ. **ინსაროვისა** და ბ. **ბონაჩიჩის** მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება უკანასკნელად

დუბროვსკი

ოპერა 4 მოქმ. მუსიკა ნაპრავნიკისა.

მაშის როლს შეასრულებს მ. ნ. ინსაროვისა, დუბროვსკისას—ა. პ. ბონაჩიჩი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ინსაროვისა, ბაუერ, სკორუპსკისა; ბ-ნნი ბონაჩიჩი, პოლუიანოვი, პეტროვი, პევცოვი, სვობოდინი, სერგეევი, კაზიმირო, ჩემეზოვი და სხვანი. **კაპელმეისტერი** ლ. პ. შტეინბერგი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ხვალ, ხუთშაბათს, 14 ნოემბერს, „ტფილ. კრუჟოკ"-ში გაიმართება უკანასკნელი წარმოდგენა. ბილეთები იყიდება „კრუჟოკ"-ის შესავალთან.

პარასკევს, 15 ნოემბერს, გაიმართება **უკანასკნელი გამოსათხოვარი წარმოდგენა**; ქ-ნ ვან-დერ-ბრანდტის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება **„ტრავიატა"**.

მთავარი რეჟისორი **ივ. ფითოევი.**

(ნ. 0—41)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავადმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურის, ყელისა და ცხვირის 9—10.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. კამოევი.—საშარდეს (ქირურგიული) ავადმყოფობისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 კვირაობით 10—11.

ა. ზ. ბარხუდოვი—ქალთა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

ვ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ბრ. მ. ხოგოლევსკი—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—ქალ-თა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.) მასაჟი და სამკურნ. გიმნასტიკა" ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 6 ს.—8 საათ. საღამოს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 274. (წლ.)

საზღვარ-გარედ

—

ინგლისი. გაზ. „დეილი ქრონიკლ"-ი იუწყება: 11 ნოემბერს ბურების გენერლებმა ჩემბერლენი ხელ-მეორედ ნახეს და ორ საათს ელაპარაკნენ. მარტო გენერალი ბოტა ლაპარაკობდა, დელარეი-კი ჩუმად იყო. ბოტა ჰოლანდიურ ენაზე ლაპარაკობდა და იმისი მდივანი ინგლისურად უთარგმნიდა ჩემბერლენს. კოლონიების მინისტრი დიდის მოთმინებით უგდებდა ყურსა, მხოლოდ ხან-და-ხან შეეკითხებოდა ხოლმე რომელსამე საგანზე. ბოტა ამტკიცებდა, ინგლისის მთავრობამ ზავის პირობა არ შეასრულაო. ამ საქმის თაობაზე ბოტამ დაწვრილებით დაწერილი და დასაბუთებული ქაღალდიც წარუდგინა ჩემბერლენს და სიტყვიერად გადასცა ამ ქაღალდის შინაარსი. ბოტამ გამოაცხადა, იმედი გვაქვს, ჩემბერლენი სამხრეთ-აფრიკაში მოგზაურობის დროს დაწვრილებით გამოიკვლევს ჩვენს ქაღალდში მოხსენებულს ცნობებსაო.

ამის შემდეგ ბოტამ სთხოვა ჩემბერლენს, ბურების დელეგატებს ვესელსს, ფიშერს და ველმარანს ტრანსვაალსა და ორანჟეს კოლონიებში დაბრუნების ნება მიეცეთო. დელეგატებს დღევანდლამდე აღკრძალული აქვთ ბურების კოლონიებში დაბრუნება. მარტო კაპის კოლონიაში შეუძლიანთ ცხოვრება.

ბოტამ სთქვა, ზავის დადების დროს დაგვპირდნენ, დელეგატებს თავიანთ სამშობლოში დაბრუნებას არ დავუშლითო; კიტჩენერმა მაშინ გამოაცხადა, ამაზე პირობის დაწერა სრულებით საჭირო არ არისო.

ჩემბერლენმა მიუგო: მაგ საქმეს მოვიფიქრებო; შეიძლება, დელეგატებს სამხრეთ-აფრიკაში დაბრუნების ნება უფრო ადრე მიეცეთ, სანამ მე ინგლისში დავბრუნდებოდეო.

შემდეგ ბურების შემწეობაზე ილაპარაკეს. გენერლებმა კიდევ გამოაცხადეს, ინგლისი ცოტა ფულს აძლევს ბურებსაო. სესხიც მეტად ცუდის პირობით ეძლევათ ბურებსაო.

ფელეტონი

—

იონიჩი

(ან. ჩეხოვიდან)

I

როცა საგუბერნიო ქალაქს—ში შემთხვევით ჩამოსული სტუმრები ჩივილს დაიწყებდნენ—თქვენს ქალაქში ცხოვრება მეტის მეტი მოსაწყენი და ერთფეროვანია, მკვიდრი მცხოვრებნი თავის მართლებას მოჰყვებოდნენ და დიდის კვეხნით იტყოდნენ: მოსაწყენი რად უნდა იყოს?—სამკითხველო გვაქვს და თეატრი, საზოგადო საკრებულო დარბაზში თვეში რამდენჯერმე საცეკვაო საღამოები იმართება და სხვა გარდა ყველა ამისა ს—ში ბევრია განათლებული და მეტად სასიამოვნო ოჯახები, რომელთ გაცნობა-დაახლოვება ძნელი არ არისო. ამას იტყოდნენ თუ არა, უეჭველად ტურკინის ოჯახს დაასახელებდნენ ხოლმე მაგალითად.

ტურკინები უმთავრეს ქუჩაზე სცხოვრობდნენ, გუბერნატორის გვერდით, საკუთარს სახლში. თვითონ ამ ოჯახის პატრონ-ბატონი—ივან პეტროვიჩი მოსული და სრული ტანის, ლამაზი სახის კაცი, ხშირად ჰმართავდა სცენის მოყვარეთა წარმოდგენებს საქველმოქმედო აზრით და თითქმის ყოველთვის მოხუც ღენერლების როლს თამაშობდა და როლის შესრულების დროს რაღაც საოცრად ახველებდა. მას ანეგდოტებისა, შარადების და ანდაზების მასალა გამოულეველი ჰქონდა, ხუმრობა და ოხუნჯობა ძლიერ უყვარდა და როცა ხუმრობდა, სახეს იმნაირ გამომეტყველებას მისცემდა, რომ ვერავინ იტყოდა გადაწყვეტით თითონაც ეხუმრებოდა თუ სრულიად უხუმრად ლაპარაკობდა. მისი მეუღლე ვერა იოსიფოვნა, გამხდარი, მაგრამ სათნოიანი, მარილიანი სახის პატრონი იყო, pince-nez ატარებდა და მოთხრობებსა და რომანებსა სწერდა, რომელთაც დიდის სიამოვნებით და კმაყოფილებით უკითხავდა ხოლმე სტუმრებს. მათი გასათხოვარი ქალი ეკატერინე იმითი იყო შესანიშნავი, რომ როიალზე უკრავდა და ოჯახში მუსიკის მცოდნედ ითვლებოდა. ერთი სიტყვით, ოჯახის ყველა წევრს რაიმე ნიჭი ჰქონდა და ყველა რითიმე იყო შესანიშნავი. ტურკინების კარი ყველასთვის ღია იყო, სტუმრებს დიდის სიხარულით და გახსნილი გულით იღებდნენ და ისეთივე სიამოვნებით და სიხარულით უჩვენებდნენ მათ თვისს ნიჭსა და უნარს. იმათი ვეებერთელა ქვითკირის სახლი ფართო და ზაფხულობით გრილი იყო, რადგან ფანჯრების ერთი ნაწილი დაჩრდილულ ბაღში იყურებოდა, სადაც ყოველ გაზაფხულს ბულბულნი და სხვა ფრინველნი ჭიკჭიკ-გალობდნენ; თუ სახლში სტუმრები იყვნენ, სამზარეულოში ისათუოდ დანების რახა-რუხი და ჭურჭლის წკრიალი გაისმოდა და ეზოში ერბოში მოხრაკული ხახვის სუნი ტრიალებდა—რაიც გულ-უხვის და გემრიელი ვახშმის მომასწავებელი იყო ყოველთვის.

დანიშნეს თუ არა ახალგაზდა დიმიტრი იონიჩ, სტარცევი სოფ. დიალიჟის ექიმად—ყველა იმას ეუბნებოდა, ტურკინების ოჯახს უსათუოდ უნდა დაუახლოვდე, როგორც ინტელიგიენტი და კავშირი არ შესწყვიტო მათთანაო. სოფ. დიალიჟი ცხრა თუ ათი ვერსის მანძილით იყო ქალ. ს—ს დაშორებული და სტარცევს, რასაკვირველია, თავისუფლად შეეძლო ხშირათ ევლო ქალაქში და კავშირი დაეჭირა ქალაქის ინტელლიგენტურ ოჯახებთან. ერთხელ როგორღაც, ზამთარში, სტარცევს ქუჩაში გააცნეს ივან პეტროვიჩი; აქეთა სთქვეს, იქითა სთქვეს, ხან ტაროსს შეეხნენ, ხან თეატრს და ხოლერას და ბოლოს იმითი გათავდა მათი მუსაიფი, რომ ივან პეტროვიჩმა სთხოვა ექიმს როგორმე შეეარნა მათთან და მისი სახლობა გაეცნო. გაზაფხულზე, ამაღლება დღეს ავადმყოფების მიღების და გასინჯვის შემდეგ, სტარცევი ქალაქს გაემგზავრა, რადგან ერთის მხრით დასვენება და გართობა უნდოდა, მეორეს მხრით რაღაცეები ჰქონდა სასყიდელი. ის ფეხით მიდიოდა (რადგან საკუთარი ცხენები ჯერ ვერ შეეძინა) და გზაში სულ ღიღინებდა:

„იმ დროს, როდესაც ცხოვრების ტალღა
და მის სიმწარე არ მაშინებდნენ"...

ქალაქში რომ ჩავიდა, რომელიღაც სასტუმროში ისადილა, ბაღში გაისეირნ-გამოისეირნა. უცბათ ივან პეტროვიჩის მიპატიჟება მოაგონდა და გადასწყვიტა წასულიყო და ენახა რა ხალხი იყვნენ ტურკინები.

— გამარჯობა, თქვენი ჭირიმე,—უთხრა კიბეზედ მიგებებულმა ივან პეტროვიჩმა:—ძალიან მოხარული ვარ, რომ თქვენისთანა ძვირფასი სტუმარი გვეწვია. მობრძანდით, ჩემ ძვირფას მეუღლესაც გაგაცნობთ. მე ვეუბნები,—ლაპარაკობდა ივან პეტროვიჩი გაცნობის დროს,—მე ვეუბნები, არავითარი უფლება არა გაქვთ მთელი თქვენი დრო და ჯანი საავადმყოფოსა და ავადმყოფთ შესწიროთ მეთქი; თქვენ მოვალე ხართ თავისუფალი დრო მაინც უძღვნათ საზოგადოებას მეთქი. ტყუილს ხომ არა ვამბობ, სულიკო?

— აი აქ დაბრძანდით, უთხრა ვერა იოსიფოვნამ და თვის მახლობლად სკამზედ მიუთითა.—ხომ შეგიძლიანთ არშიყობა? ჩემი ქმარი, ნამდვილი ოტელლოა იქვეულობით, მაგრამ ჩვენ ვეცადნეთ ისე მოვიქცეთ, რომ არა შეგვატყოს-რა.

✦ შე ეშმაკო, შენა...—უთხრა ალერსიანად ქმარმა და შუბლში აკოცა:—ძალიან კარგ დროს მობრძანდით, ბატონო ექიმო, ჩემმა ძვირფასმა მეუღლემ დიდი, ვეებერთელა რომანი დასწერა და სწორედ დღეს უნდა წაგვიკითხოს.

—ვანო,—უთხრა ვერა იოსიფოვნამ,—dites que l'on novs donne du teh.

სტარცევს თვრამეტი წლის, დედასავით გამხდარი, ეკატერინეც გააცნეს; სახის გამომეტყველება მას ჯერ ისევ ბავშვისა ჰქონდა, ტანი—წვრილი და ნარნარი; გაღვიძებული, საღი და ლამაზი მკერდი ნამდვილ გაზაფხულს აგონებდა მაყურებელს. მერე ჩაი დალიეს მურაბით, თაფლით და გემრიელ კუპატებით, რომელნიც სასიამოდ დნებოდნენ პირში. მობინდდა თუ არა, უხვ და გულკეთილ მასპინძლებს რამდენიმე სტუმარი კიდევ ეწვია, ერთს მეორე მოსდევდა, მეორეს—მესამე. ყველა მათგანს მომღიმარის სახით ეგებებოდა ივან პეტროვიჩი და ეუბნებოდა:

— გამარჯობა, თქვენი ჭირიმე.

შემდეგ ყველანი ჩამომწკრივდნენ სასტუმრო ოთახში და, ღრმად დაფიქრებულნი, დიასახლისის რომანს უგდებდნენ ყურს. ავტორი ასე იწყებდა თავის რომანს: „ყინვა სცხაროდა„... ფანჯრები ყურამდინ იყვნენ გაღებულნი, სამზარეულოდან დანების რახა-რუხი და ჭურჭლის წკრიალი მოისმოდა და ჰაერში მოხრაკული ხახვის სუნი ტრიალებდა... რბილ და ღრმა სავარძელში მშვენივრად ჰგრძნობდა კაცი თავსა; სანათნი მწვანელთ თვალს უშვრებოდნენ და ელერსებოდნენ მათ; ზაფხულის ამისთანა მშვენიერ საღამოს, როდესაც ქუჩიდან ხალხთა ხმაურობა და სიცილ-კისკისი მოისმოდა და ბაღიდან იასამნის სუნი მოდიოდა, როგორ-

ჩემბერლენი დაჰპირდა, ყველა მაგ საქმეებს დაწვრილებით გავარჩევო.

დელარეი უქეიფობს და იქმნება მალე სამხრეთ აფრიკას დაბრუნდეს და თუ კი შეიძლო, კსეც ბოტას გაჰყვება ამერიკაში. დევეტი-კი ხომ კარგა ხანია, რაც სამხრეთ-აფრიკას დაბრუნდა.

შეერთებული შტატები. ამას წინად, როგორც ვიცით, შეერთებულ შტატების გარეშე საქმეთა მინისტრმა გეიმ ნოტით პროტესტი გამოუცხადა რუმინიის მთავრობას და შეწუხებულ და დევნილ ურიებს გამოესარჩლა. შეერთებულ შტატების ამ საქმეში გარევა ბევრს გაუკვირდა. გაზ. „ნიუ-იორკ-ტაიმს“-ი ამტკიცებს, შეერთებული შტატები ყოველთვის ასეთ პოლიტიკას მისდევდნენო. ჯერ კიდევ 1872 წელს ამერიკის გარეშე საქმეთა მინისტრმა ფიშმა რუსეთის მთავრობას ნოტა მისწერა და სთხოვა, რუმინიის ურიებს ქომაგობა გაუწიეთო; 1879 წელს გარეშე საქმეთა ევარტსმა ნოტა მისწერა ამერიკის ელჩს ვენაში, საჭიროა რუმინიას ჩააგონოთ, რომ მეტად უდიერად და უკანონოდ ექცევა ურიებსაო; თუ ურიებს კარგად არ მოექცევა, შეერთებული შტატებიც დიპლომატიურ ურთიერთობას შესწყვეტავს რუმინიასთანაო. 1882 წელს გარეშე საქმეთა მინისტრები ბლეინი და ფრეილინგენი და პრეზიდენტი ჰარისონიც ამავე პოლიტიკას მისდევდნენო. დასასრულ გაზეთი ამბობს: მინისტრი გეი დარწმუნებული უნდა იყვეს, რომ ჩრდილოეთ ამერიკის მოქალაქეთა უმეტესობა დიდის თანაგრძნობით უცქერის იმის კეთილშობილ საქციელსაო.

პორტუგალია. დიდი ხანია გაზეთები სწერენ: პორტუგალია თავის სამფლობელოს სამხრეთ-აფრიკაში, სახელდობ ლორენცო-მარკეზეს ოლქს ნავთ-სადგურ დელაგოათი, ინგლისს უთმობსო. ამ საქმის თაობაზე თითონ პორტუგილიის მეფე ლონდონს მიდიოდა, გერმანიის იმპერატორი ვილჰელმიც ვითომ სხვათა შორის ამ საქმეზე მოსალაპარაკებლად იყო ინგლისშიო და სხვ.-და-სხვ.

„ნიუ-იორკ-ჰერალდ“-ის პარიზელ კორესპონდენტს ამ საქმის თაობაზე პორტუგალიის ელჩი პარიზში სოუზა-როზა უნახავს და უკითხავს: მართალია ეს ცნობები, თუ არაო. ელჩს უპასუხნია: გაზ. „ნიუ-იორკ-ჰერალდ“-ში ამას წინად ეწერა: „პორტუგალიის სამფლობელოს სამხრეთ-აფრიკაში გერმანია და ინგლისი გაიყოფენო: ჩრდილოეთ ნაწილს ზეირამდე გერმანია აიღებს, ინგლისი კიდევ დანარჩენს ნაწილსაო; დელაგოას ნავთ-სადგურსაც ინგლისი აიღებსო.“ ამ ცნობაში ერთი მართალი სიტყვა არ ურევია. მერწმუნეთ, ამ ცნობას იმიტომ კი არ უარვყოფ ასე გადაჭრით, რომ უარ-ყოფის ღირსი იყოს. სრულებითაც არა. ამისთანა ცნობა თავის თავს თითონვე უარ-ჰყოფს. საჯაროდა და გადაჭრით ვაცხადებ, რომ ეს ცნობა ტყუილია. ამას მხოლოდ ამიტომ ვაცხადებ, რომ საზოგადოება გავაფრთხილო; დარწმუნებული ვარ, ეს ხმა სპეკულატორებმა გაავრცელეს ხალხის მოსატყუებლად. პორტუგალიას თავის კოლონიებზე ხელის აღება გუნებაშიაც არ გაუტარებია: არც ინგლისს და არც სხვა რომელსამე სახელმწიფოს სამხრეთ-აფრიკის კოლონიებს არ დაუთმობს. დასასრულ საჭიროდ მიმაჩნია დაგარწმუნოთ, რომ ინგლისის მთავრობას ხმაც არ ამოუღია სამხრეთ-აფრიკის კოლონიებზე და არას დროს არ უთხოვნია პორტუგალიისათვის ამ კოლონიების დათმობა.“

ახალი ამბავი

◆ **ტფილისის ქალაქის საბჭოს ახალი ხმოსნები.** გაზ. „კავკაზ“-ის გუშინდელს ნომერში ოფიციალად გამოცხადებულია იმათი სია, რომელნიც 1902—1906 წლებისათვის ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნებად დამტკიცებულ არიან:

1) **აფთანდილოვი** მიხ. ზაქ. ძე, 2) **ალიხანოვი** ივ. სერგ. ძე, 3) **ალიხანოვი** ივ. მიხ. ძე, 4) **ანანოვი** სტეფ. იოს. ძე, 5) **ანდრეევი** ალექსანდრე პეტ. ძე, 6) **არღუთინსკი-დოლგორუკოვი** თავ. ნიკ. ვას. ძე, 7) **არღუთინსკი-დოლგორუკოვი** თავ. ალექსანდრე მიხ. ძე, 8) **არღუთინსკი-დოლგორუკოვი** თავ. ნიკ. იაგ. ძე, 9) **ახუნდოვი** რახიმ-ბეკ, 10) **ბაბოვი** არშ. სერგ. ძე, 11) **ბაბოვი** იაგ. სერგ. ძე, 12) **ბარათაშვილი** თავ. იასსე ალექსანდრეს ძე, 13) **ბებუთოვი** თავ. ივ. მიხ. ძე, 14) **ბებუთოვი** თავ. ალექსანდრე ალექსანდრეს ძე. 15) **ბებუთოვი** თავ. არსენ ივ. ძე, 16) **ბაღდასაროვ-ბუღდანოვი** არშ. სტეფ. ძე, 17) **გონიევი** კონსტ. ალაფ. ძე, 18) **გურგენბეკოვი** ივ. იოს. ძე, 19) **დოლუხანოვი** ისაია მარკ. ძე, 20) **დოლუხანოვი** პავლე მარკ. ძე, 21) **ევანგულოვი** ლეონ გიორგის ძე, 22) **ევანგულოვი** ალექსანდრე ბალდ. ძე, 23) **ენფიაჯიანცი** ტიგრ. ამბ. ძე, 24) **ენფიაჯიანცი** არტაშეს ამბ. ძე, 25) **ესაძე** ბორის სპირ. ძე, 26) **ვართანოვი** არტ. ივ. ძე, 27) **ვაწაძე** სპირ. იოსების ძე, 28) **ვესელოვზოროვი** მიხ. ნიკ. ძე, 29) **თაიროვი** ივ. ალექსან. ძე, 30) **თამამშევი** ნიკ. ივ. ძე, 31) **თამამშევი** გაბრ. ზაქ. ძე, 32) **თულაშვილი** ივ. გაბრ. ძე, 33) **თუმანოვი** თავ. გიორგი მიხ. ძე, 34) **თუმანოვი** თავ. დავ. ნიკ. ძე, 35) **იოანნისიანი** რუბენ აფქარის ძე, 36) **კაზაკოვი** ალექსანდრე ივ. ძე, 37) **კარაკოსოვი** გრ. იაგ. ძე, 38) **კოჟინი** პეტრე ივ. ძე, 39) **ლენჩევსკი** ანდრია მარტინის ძე, 40) **ლისიციანი** სტ. დან. ძე, 41) **ლუნკევიჩი** მიხ. ვიქტ. ძე, 42) **მაიერი** ივ. ივ. ძე, 43) **მელიქ ბეგლაროვი** იოს. ალექსანდრეს ძე, 44) **მელიქ-კარაკოზოვი** გიორგი პავლ. ძე, 45) **მიქელაძე** თავ. ვლად. სიმ. ძე, 46) **მილოვი** არკ. ნაზარ. ძე, 47) **მირზოევი** სერგ. ზურ. ძე, 48) **ოსტროგორსკი** ნიკ. ნიკ. ძე, 49) **სარაჯიშვილი** ვას. ალექსანდრეს ძე, 50) **სვეჩნიკოვი** მიხ. ივ. ძე, 51) **სოსინი** მათე ლეონტის ძე, 52) **სულხანოვი** სტ. ქრისტ. ძე, 53) **სულხანოვი** იოს. ალქს. ძე, 54) **სურენიანცი** ალექსანდრე დავ. ძე, 55) **ტერ-ასატუროვი** გიორგი ბალდ. ძე, 56) **ტიგრანოვი** იოს. თად. ძე, 57) **ტიგრანოვი** ლაზ. თად. ძე, 58) **ტხორჟევსკი** ივ. ფელიქსის ძე, 59) **ფეფელოვი** ტიტ ალექსის ძე, 60) **ფირალოვი** არტ. სტ. ძე, 61) **ფლორენსკი** ალექს. ივ. ძე, 62) **ფრიდონოვი** ალექს. თომ. ძე, 63) **ფსაროვი** ივ. იაგ. ძე, 64) **ფურცელაძე** ანტ. ნიკ. ძე, 65) **ქალანთაროვი** ნიკ. ქრისტ. ძე, 66) **ქანანოვი** მიხ. ზურ. ძე, 67) **ღულაძე** ანდრია სოლომ. ძე, 68) **ქოჩარიანცი** გრ. არტ. ძე, 69) **ყარა-მურზა** ნიკიტა მაკ. ძე, 70) **ყიფიანი** მიხ. ქაიხ. ძე, 71) **ყიფიანი** პეტრე იოს. ძე, 72) **შადინოვი** ივ. ალექს. ძე, 73) **შაჰ-ბუდაღოვი** გრ. გრ. ძე, 74) **შადინოვი** ივ. ალექსის ძე; 75) **ჩერქეზიშვილი** თავ. ვას. ნიკ. ძე, 76) **ჩოლოყაშვილი** თავ. ალექს. ზაალის ძე, 77) **ჭრელაშვილი** სტ. თევ. ძე, 78) **ხატისოვი** ალექს. ივანეს ძე, 79) **ხუდადოვი** ნიკ. ალექს. ძე, 80) **ჯაბადარი** ალექს. გიორგ. ძე, და 81) **ჰქენ** ფრიდრიხ კარლ. ძე.

კანდიდატებად: 1) **ამირხანოვი** იოს. იაკ. ძე, 2) **ბეგზადოვი** არტ. სერგ. ძე, 3) **გრიქუროვი** ნიკ. არტ. ძე, 4) **კონდურალოვი** ვას. გრ. ძე, 5) **კობიაკოვი** იური დიმიტრ. ძე, 6) **ხანქალამოვი** სოლ. ისაის ძე, და 7) **ხრამელაშვილი** ეგნ. მარკ. ძე.

◆ მომავალ კვირას, 17 ნოემბერს, ტფილისის საბჭოს **ახალ-არჩეულ ხმოსნებს დაამტკიცებენ** და მეორე დღეს პირველი კრება ექმნება ახალ საბჭოს. ქალაქის მოურავის მოადგილე მოახსენებს, რომ საბჭომ ქალაქის მოურავის არჩევანის დღე დაჰნიშნოს.

◆ ორშაბათს, 11 ნოემბერს, სხდომა ჰქონდა **„ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“** გამგეობას. გამგეობამ, სხვათა შორის, განიხილა მოხსენებანი იმის შესახებ, რომ შემწეობა აღმოუჩინოს კავკავის საკვირაო სკოლას, ხარაგაულისა და ქვიშხეთის სამკითხველოებს. რადგანაც ასეთ საქმეებისათვის გადადებული 800 მან. უკვე დაიხარჯა, გამგეობამ გადასწყვიტა გაუგზავნოს აღნიშნულ დაწესებულებებს წიგნები და სასწავლო ნივთები: კავკავის საკვირაო სკოლას—52 მანეთისა, ხარაგაულის სამკითხველოს—10 მან. და ქვიშხეთისას—5 მანეთისა.

◆ შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროებისა, უწმ. სინოდისა და კავკასიის მთავარ-მართებლის ერთმანერთ შორის შეთანხმებით, ამას იქით საქართველოს ექსარხოსი **ყოველთვის მიწვეული იქმნება** მთავარ-მართებლის საბჭოში, როცა ამას განსახილველად ექმნება საერობო ხარჯთ-აღრიცხვა, რადგან საეკლესიო-სამრევლო სკოლებს ამ ხარჯებიდან ეძლევათ ხარჯი.

◆ ამას წინად ტფილისის **გუბერნატორს მოხსენება წარუდგინა** გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრმა ბ-ნმა ბარანოვსკიმ, რომელმაც რევიზია მოახდინა ტფილისის მოქალაქეთა გამგეობისა. თავის მოხსენებაში...

ლაც ძნელად დასაჯერებელი და წარმოსადგენი იყო თუ მართლა „ყინვა სცხარობდა“... და ზამთრის ჩამავალი მზე თვის ცივ, მაგრამ მბრწყინავ სხივებით თოვლით დაფენილ ველს და მარტოდ მიმავალ მგზავრს ანათებდა; ვერა ოსიფოვნა გრაფის ახალგაზდა, ლამაზ ცოლზე მოუთხრობდა მსმენელთ, რომელიც თავის სამშობლო სოფელში სკოლებსა ხსნიდა, საავადმყოფოებს და სამკითხველოებს აარსებდა და რომელსაც თავისთვისვე მოულოდნელად მგზავრი მხატვარი შეჰყვარებოდა—კითხულობდა იმას, რასაც არასოდეს არა აქვს ხოლმე ცხოვრებაში ადგილი, რასაც მხოლოდ ამგვარ წიგნებში თუ შეხვდება ადამიანი; მაგრამ მიუხედავად ყველა ამისა, სასიამოვნო იყო ამ უცხო ამბის მოსმენა და მის მსმენელთ ისეთი მშვიდი და ტკბილი აზრები მოსდიოდათ თავში, რომ არავის არ უნდოდა რბილ სავარძელს მოშორებოდა და ტკბილი ხმაურობა დაერღვია.

— ცუდი არ არის...—ჩუმად წაილაპარაკა ივან პეტროვიჩმა.

ვიღაცამ, სულ სხვა აზრებით გატაცებულმა, ძლივს გასაგონად წაილაპარაკა.

— დიაღ, მართალია...

გაიარა ერთმა, ორმა საათმა. ქალაქის საზოგადო ბაღში მუსიკა უკრავდა და მომღერალთა ხორო მღეროდა. როდესაც ვერა იოსიფოვნამ რვეული მოჰკეცა და შესწყვიტა კითხვა, რამდენიმე წუთი გაჩუმებულნი დარჩნენ ყველანი და მუსიკას ისმენდნენ.

— თქვენ ნაწარმოებთ ჰბეჭდავთ ჟურნალ-გაზეთებში?—დაეკითხა ვერა იოსიფოვნას სტარცევი.

— არა,—მიუგო ქალმა:—მე არსად არა ვბეჭდავ. დავწერ და ყუთში დავკეტავ ხოლმე. რისთვის უნდა ვბეჭდო?—განაგრძო ქალმა,—სარჩო არ გვაკლია და საბადებელი.

აქ ყველამ რიღაცისთვის ამოიოხრა.

— ახლა შენ დაუკარი რამე, კატო,—მიუბრუნდა ივან პეტროვიჩი ქალს.

როიალს ახადეს თავსახურავი და ნოტები მოაამზადეს. ეკატერინა ივანოვნა მოუჯდა როიალს და ორივე ხელი უკბათ დასცხო კლავიშებს; ორჯერ, სამჯერ გაიმეორა კიდევ იგივე აკკორდი; მხრები და მკერდი უთრთოდნენ, მაგრამ აღარ ათავებდა თვის მუსიკას, ერთ და იმავე ადგილს არტყამდა ხელებს, თითქოს იმ დრომდის არ დაანებებს როიალს თავს, სანამ სულ არ ჩაამტვრევს კლავიშებსაო. სასტუმრო ოთახი გრგვინვა ქუხილით გაივსო. სახლში ყველაფერს ზანზარი გაუდიოდა: იატაკსაც, ჭერსაც და ავეჯსაც... ეკატერინა ივანოვნა მეტად ძნელ პასაჟს ასრულებდა, რომელიც მხოლოდ თავისი სიძნელით იყო საინტერესო. სტარცევი ყურს უგდებდა და მის გონებითი თვალს მაღალი მთა ეხატებოდა, რომლიდამაც შეუწყვეტლივ ქვიშა და ქვა ჩამოდიოდა; მას უნდოდა რაც შეიძლება მალე გამოლეულიყო ეს ქვა და გუნდა, მალე შეწყვეტილიყო ეს საოცარი მუსიკა, მაგრამ მიუხედავათ ყველა ამისა, შეწითლებული, თმახუჭუჭა კატო მაინც ძალიან მოსწონდა. უფერულ ზამთრის შემდეგ, რომელიც ავათმყოფთა და გლეხთა წრეში იყო გატარებული, ამისთანა საუცხოვოდ მორთულს ოთახში ჯდომა და ასეთი ქორფა-ლამაზი ქალის მზერა და, რაც უნდა იყვეს, მაინც კულტურულ ხმათა სმენა—მეტად სასიამოვნო და ტკბილი იყო მისთვის...

— მაგისთანა კარგათ კვლავ არასოდეს არ დაგიკრავს როიალზედ,—უთხრა აცრემლებულმა ივან პეტროვიჩმა, როცა ქალი ფეხზედ წამოდგა.

ყველა შემოეხვია, ულოცავდნენ, უკვირდათ და არწმუნებდნენ—კაი ხანია იმისთანა მუსიკა არ გაგვაგონიაო. ქალი, ხმა ამოუღებლივ, ღიმილით უგდებდა ყურს და მთელს მის არსებაში გამარჯვება და ბედნიერება გამოიხატებოდა

— ჩინებულია, ჩინებული!

— მეტად მშვენივრად უკრავდით, ბატონო! საერთო აღფრთოვანებამ სტარცევზედაც იმოქმედა და ქალს მიუბრუნდა ექიმი.—თქვენ გისწავლიათ სადმე მუსიკა?—დაეკითხა ეკატერინე ივანოვნას.—უსათუოდ კონსერვატორია გექნებათ გათავებული?

— კონსერვატორიაში ეხლა ვაპირებ შესვლას, დღემდის-კი აქა ვსწავლობდი ქალბ. ზავლოვსკაიასთან.

— აქაური გიმნაზია გაათავეთ?

— რას ბრძანებთ, ბატონო,—ქალის მაგიერ დედამ მიუგო:—ჩვენ სახლში ვიწვევდით მასწავლებლებს, გიმნაზიაში და ინსტიტუტებში კი, მართალი რომ სთქვას კაცმა, საშიშიც არის ახალგაზდა ქალის ყოფნა; სანამ იზრდება ქალი, ის მხოლოდ დედის გავლენის ქვეშ უნდა იყვეს.

— კონსერვატორიაში კი მაინც წავალ,—უთხრა ეკატერინა ივანოვნამ.

— სტყუის, კატუშას იმდენად უყვარს თავისი დედა, რომ მის შეწუხებას არ მოინდომებს: დედასა და მამას არ დაადარდებს.

— წავალ, ღმერთმანი, წავალ!—შესძახა ხუმრობით კატომ და ფეხი დასცხო იატაკს.

ვახშმის დროს ნიჭი ივანე პეტროვიჩმა გამოიჩინა. დაიწყო თავისი დაუსრულებელი ანეგდოტები და ოხუნჯობანი, იძლეოდა სამასხარო ამოცანებს და თვითონვე ხსნიდა მათ.

მაგრამ ეს არაფერი. როცა მაძღარი და კმაყოფილი სტუმარნი დერეფანში იდგნენ და პალტოსა, ჯოხს და ქუდებს დაეძებდნენ, მათ შორის ცამეტ-თოთხმეტი წლის ბიჭი, მათი მოსამსახურე პავლეც ტრიალებდა.

— აბა, პავლე, გამოიჩინე თავი!—უთხრა ივან პეტროვიჩმა.

პავლემ ტრაგიკული პოზა მიიღო, მარჯვენა ხელი მაღლა აიშვირა და ტრაგიკულადვე შეჰღრიალა:

— მოჰკვდი, შე ურჯულო!

ყველამ გადიხარხარა.

„კარგია“,—გაიფიქრა სტარცევმა ქუჩაზედ, რომ გამოვიდა.

ექიმი რესტორანში შევიდა ისევ, ლუდი დალია და ფეხით გაუდგა დილიჟას გზას. მიდიოდა და ჩუმათ ღიღინებდა.

„შენ გეტრფი მარად, შენ გეტრფი მარად!“

შინ რომ მივიდა და ლოგინში ჩაწვა, დაღალვას სრულიად არა ჰგრძნობდა, პირიქით, ეგონა, ცხრა ვერსტი კი არა, კიდევ ოცს გავივლი დიდის სიამოვნებითაო.

II

სტარცევი დიდი ხანია ტურკინებთან წასვლას აპირებდა, მაგრამ საავადმყოფოში იმოდენი მუშაობა ჰქონდა, რომ ვერას გზით ვერ მოეხერხებინა და ვერ განთავისუფლებულიყო. ასე ამ გვარად, შრომასა და მარტოობაში ერთი წელი მეტი გაატარა; სტარცევს თითქმის დაავიწყდა კიდეც ქალაქი, მაგრამ, აგერ, ცისფერ პაკეთით წერილი მოუვიდა ქალაქიდან.

ვერა ოსიფოვნა უწინაც ხშირად უჩიოდა შაკიკს, მაგრამ მას შემდეგ რაც კატომ აიჩემა—უსათუოდ კონსერვატორიაში მინდა შევიდე და მუსიკა შევისწავლოვო, თავის ტკივილებმა უფრო უხშირეს. ქალბ. ტურკინისას ქალაქს ყველა ექიმი სწამლობდა, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა მისი მადლობა ვერ დაიმსახურა; ეხლა სტარცევზედაც მისდგა ჯერი. ვერა იოსიფოვნამ გრძნობით სავსე წერილი მისწერა ექიმს, რომელშიაც ემუდარებოდა—მობრძანდით და ტანჯვანი შემიმსუბუქეთო. სტარცევი ეწვია და მას შემდეგ ძალიან ხშირად დაიარებოდა მათსა... სტარცევმა მართლა შეღავათი მისცა, უშველა ვერა იოსიფოვნას და უკანასკნელი ყველა სტუმრებს სულ იმას უამბობდა, სტარცევი შესანიშნავი და ჩინებული ექიმიაო, მაგრამ ასე ხშირად სტარცევი მისი შაკიკისთვის როდი დაიარებოდა...

რაღაც დღესასწაული იყო. ეკატერინა იოსიფოვნამ გაათავა თავისი დაუსრულებელი ვარჯიშობა როიალზედ შემდეგ კაი ხანი სასადილო ოთახში ისხდნენ, ჩაის შეექცეოდნენ და ივან პეტროვიჩის საოხუნჯო ამბებს ისმენდნენ; მაგრამ, აგერ, ვიღაცამ ზარა ჩამოაწკარუნა; მასპინძლები უნდა გასულიყვნენ და სტუმარს მიჰგებებოდნენ. სტარცევმა იხელთა თავისუფალი წუთი, მიუბრუნდა კატოს და ჩურჩულით უთხრა აღელვებულმა:

— თუ ღმერთი გწამთ, გამომყევით ბაღში!

ქალმა მხრები შეიშმუშნა, მითომ არ მესმის რა გინდა ჩემგანაო, მაგრამ მაინც წამოდგა და გავიდა

— თქვენ სამ-ოთხი საათი უკრავთ ხოლმე როიალზედ,—ეუბნებოდა უკან ადევნებული ექიმი:—მერმე დედას უზიხართ გვერდზედ და მე კი არა მკითხავთ, რომ ერთი წუთი ვერ მიპოვნია თავისუფალი, ერთი სიტყვა ვერ მითქვამს თქვენთვის. ერთი ხუთმეტი წუთით მაინც მაჩუქეთ

შემოდგომა ახლოვდებოდა და ძველს, მივარდნილ ბაღში სიჩუმე და მყუდროება ჰმეფობდა; ბილიკებზედ და სხვა გზებზედ შავად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებაში ბ-ნი ბარანოვსკი, სხვათა შორის, ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ მოქალაქეთა ხარკის ამკრებ მამასახლისის თანაშემწენი კარგად ვერ ასრულებენ მოვალეობას, რის გამო დროზე არ იკრიბება სახელმწიფო და საზოგადო გადასახადები. გუბერნატორმა, შეატყობინა რა ეს გარემოება მოქალაქეთა გამგეობას, განუმარტა, რომ სენატის გადაწყვეტილებით მოქალაქეთა რწმუნებულებმა უნდა გამორიცხონ თანამდებობიდან მამასახლისის თანაშემწენი, თუ ისინი დაუდევრობით გადასახადს ვერა ჰკრეფენო. ამასთანავე გუბერნატორმა დაავალა გამგეობას მოახდინოს რწმუნებულთა კრება იმის გადასაწყვეტად, კარგად ასრულებენ თუ არა ხარკის ამკრებნი მოვალეობას. გუბერნატორმა მოსთხოვა აგრეთვე გამგეობას, წარუდგინოს თვე და თვე ცნობები იმის შესახებ, როგორც მიმდინარეობს გადასახადების მოკრების საქმე.

✦ ამ რამდენისამე ხნის წინად ტფილისის **მოქალაქეთა გამგეობამ სთხოვა გუბერნატორს**, ნება მიეცა მისთვის გამგეობის საჭიროებათათვის მოეხმარა ის ფული, რომელიც საზოგადოებას შენახული აქვს სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში. გუბერნატორმა შეატყობინა მოქალაქეთა გამგეობას, რომ აღნიშნულ ფულის დახარჯვის საქმე უნდა გადასწყვიტოს მოქალაქეთა რწმუნებულების საზოგადო კრებამ, ამიტომ გამგეობამ იმას უნდა მიჰმართოს ნების დასართველად და შემდეგ განაჩენი გუბერნიის სამმართველოს უნდა წარმოუდგინოს დასამტკიცებლადაო.

✦ გუშინ უკვე აღვნიშნეთ, რომ **ჰიდრავლიკო სადგურის** საქმის შემუშავება დაევალა განსაკუთრებულ კომისიას. გამგეობისა და შეერთებულ სხდომის გადაწყვეტილებით კომისიამ: 1) უნდა გამოიკვლიოს, მდინარე მტკვარი რამდენად გამოსაყენებელია სადგურისათვის და რამდენად შესაძლებელია სადგურის აშენება; 2) უნდა გამოარკვიოს სადგურის მოწყობის ღირებულობა; 3) გამოიანგარიშოს, რა დაუჯდება ელექტრონის თითო ლამპა თვით სადგურის ამშენებელს, რომ ამისდა მიხედვით დაეთმოს ქალაქს მისით სარგებლობა; 4) უნდა გაიგოს, რამდენად შეიძლება გამოყენება სადგურის ძალისა ქალაქის გასანათებლად და რკინის გზის ვაგონების ასამოძრავებლად; 5) განმარტოს, რა სახეს მიიღებს ტფილისი, როცა საჰიდრავლიკო სადგური იმოქმედებს; 6) გაიგოს, რა სარგებლობა მოელით ქალაქის მცხოვრებთ; 7) გამოიანგარიშოს, რა ეღირება მდ. მტკვრის ნაპირების გამაგრება სადგურის მოწყობის დროს და 9) წარუდგინოს ვრცელი ანგარიში იმისა, თუ რა დაჯდება მთელის სადგურის აგება.

✦ ტფილისის ტრამვაის უსახელო საზოგადოება სთხოვს ქალაქის გამგეობას: რაც ქალაქის **ქუჩების მოსაკირწყლავად** ჩვენ წილად ფულები გერგებათ (30 ათასი თუმანი), ნაწილ-ნაწილად მიიღეთ, ყოველ-წლიწადს 5 ათასი თუმანიო.

✦ ქალაქსა და ტრამვაის უსახელო საზოგადოებას შუა, სხვათა შორის, ის პირობაცაა დადებული, რომ **შუა ბაზარში ტრამვაის გასაყვანად** ეს ქუჩა უნდა გააგანიერონ, ხოლო ამისათვის საჭიროა კერძო მესაკუთრეთა ადგილები შეისყიდონ. უსახელო საზოგადოებამ ამ საქმისათვის 40 ათასი თუმანი უნდა მისცეს ქალაქს, მაგრამ ეს ფული ძალიან ნაკლებ დახმარებას აღმოუჩენს თურმე ამ საქმეს, რადგან გაცილებით უფრო მეტი ფული დასჭირდებათ ადგილების შესაძენათ. ქალაქის გამგეობა ამ ჟამად შუა ბაზრის ქუჩის გაგანიერებაზე ჰფიქრობს თურმე.

✦ ხმოსანს ნ. ი. თამამშევს გამოუცხადებია ქალაქის გამგეობისათვის: ვინაითგან **სოლოლაკის მთიდან მომავალი დიდი არხი** განსაკუთრებით მოვარდნილ წყალის გზად არის დიდის ხნობით ქალაქის ქუჩა-მოედნების ქვეშ გაყვანილი, კერძო კაცებს არ შეუძლიათ ამ არხში სიბინძურე ჩაუშვან თავიანთ სახლებიდან გამოყვანილის არხებითაო. მაგრამ „მდიდარ სოლოლაკელებს“ ეს არხები ბოლომდ გაუყვანიათ ამ დიდ არხისაკენ და საშინელი სიბინძურე სწამლავს ღარიბ მოსახლეთა შორის ჰაერს სოლოლაკის სათავესა, თუ არხის ბოლოშიო. ამისათვის ბ-ნი თამამშევი სთხოვს გამგეობას, აღუკრძალეთ ამ სახლის პატრონებს დიდ არხში სიბინძურის ჩაშვება და ამისათვის საჭირო არხები სხვა გააკეთებინეთო.

✦ ამ ორის დღის წინად სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრების კოწია წულუკიანისა, რომელსაც კაცის მოკვლა ჰბრალდებოდა. ოლქის სასამართლოს წულუკიანი დამნაშავედ უცვნია და გადაუწყვეტია ყოვლისავე განსაკუთრებულ უფლების ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა 5 წლით. პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

✦ 1-ლ ღამის თავშესაფარს რამდენიმე წელიწადის პოლიციელი შეჰფარებია და ერთი საუკეთესო ოთახი დაუჭერია. ქალაქის გამგეობას ახლა შეუტყვია ეს ამბავი და პოლიციელსაც უთქვამს: აქ ადგილი მომცეს იმიტომ, რომ წესიერება დავიცვაო. ვინაიდან წესიერების დასაცველად თვითონ თავშესაფარის ზედამხედველი და მოსამსახურე საკმარისად სცნო გამგეობამ—პოლიციელი დაითხოვეს თავშესაფარიდან.

✦ ტფილისში მოვაჭრეთ ძმათა შაგინებს წარსულ კვირას ორი ცხვარი და 150 ლავაში გაუგზავნიათ თავისის ხარჯით 1-ლ ღამის თავ-შესაფარში დაბინავებულ ღარიბთათვის.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ ქუთაისის ქალაქის მოურავს შემდეგი საქმეები აქვს მინდობილი უმაღლეს მთავრობის წინაშე საშუამდგომლოდ: ა) შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ქუთაისზე გაყვანილ იქმნეს რკინის გზა, ერთი—ამიერ კავკასიის რკინის გზის შტო, ყვირილის სადგურიდან დაწყებული, და მეორე—შავი ზღვის ნაპირებზე გასაყვან რკინის გზის შტო; ბ) შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ქუთაისში შემოტანილ-გატანილ საქონელზე დადებულ იქმნეს საფუთო გადასახადი $1/2$ კაპეიკი; გ) რომ დარჩეს კიდევ ხუთის წლის ვადით ხიდების შემოსავალი, რაც უდრის წლიურად 17000 მანეთს; დ) რომ ეპატიოს ქალაქს პოლიციის ვალი 25,000 მან. და თანაც ათის წლის ვადით სრულიად განთავისუფლებულ იქმნეს პოლიციის შესანახ ხარჯისაგან; ე) შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ მთავრობამ მისცეს ქალაქს უსარგებლოდ სესხი 50,000 მანეთი ქუთაისში სავადმყოფოს დასაარსებლად, და ვ) რომ არ იქმნეს გაუქმებული ბ-ნ გუბერნატორის განკარგულება ქალაქის აფთიაქის ტფილისის ქუჩაზე გადატანის შესახებ. როგორც მკითხველს ეხსომება, კერძო მეაფთიაქეებმა გუბერნატორის განკარგულება სენატში განასაჩივრეს.

✦ ქალაქის გამგეობის წევრად დამტკიცებულმა გლ. ნ. კანდელაკმა უკვე მიიღო ფიცი და ამ მოკლე ხანში შეუდგება თანამდებობის აღსრულებას.

✦ ქალაქის საბჭოს მდივნად დამტკიცებული ი. ი. ჯაფარიძე ნოემბრის დამდეგამდე ვერ შეუდგება თანამდებობის აღსრულებას, სანამ დედათა საეპარქიო სასწავლებელში იმის მაგივრად სხვა მასწავლებელს არ იშოვნიან.

ტფილისის «მამათა» დარბაზიდან

უკანასკნელი სხდომა იყო ძველის საბჭოსი (არჩეულ ხმოსნების სია დაუმტკიცებია გუბერნატორს) და ჩვენმა მამებმა ერთხელ კიდევ ისახელეს თავი.

როგორც ვიცით, წინა სხდომაზე მთელი საათ ნახევარი მოანდომეს სახლების დანომრვის შესახებ სავალდებულო დადგენილებათა ორი მუხლის განხილვას. ეს მეორე სხდომაც ამ სავალდებულო დადგენილებათ შესწირეს თითქმის და კიდევ ვერ გაათავეს: სანომრო ფიცრის ფორმა და ნივთიერება უნდა გამოირკვიოს ახალმა საბჭომ, რადგან ძველმა ვერ მოასწრო ასეთის მძიმე საკითხის გადაწყვეტა. სრული ოც-და-ათი სიტყვა იყო წარმოთქმული (გამგეობის რეპლიკები არ შედის ამ რიცხვში). კამათმა დაწყებისათანავე ცხარე ხასიათი მიიღო ჩვენი „მამების“ დასახასიათებლად მოვიყვან ამ კამათის ერთ ნაწილს. ხმ. ფრიდონოვს სურს „პრინციპიალურად“ ილაპარაკოს: მცხოვრებთ ისედაც დიდი გადასახადი აწევთ, მთელის ქალაქის დანომრვა წარმოდგენილ პროექტის თანახმად 14 ათასი მანეთი დაჯდება. თუ მაინცა და მაინც ფული გვემეტება, ისევ მუშების საავათმყოფოს შევეწიოთ, რომელიც ექ. მალინს სურს გახსნასო. პროექტისებური ნომერაცია მსურველმა გაიკეთოს,

---

გამომყურალი ფოთლები ეყარნენ. ეხლა უფრო ადრე ჰბინდდებოდა.

— მთელი კვირაა არ მინახავხართ,—განაგრძო სტარცევმა.—მერე იცით კი რა ძნელია ჩემთვის ამის ატანა! დავსხდეთ. მომისმინეთ.

ორთავეს ამორჩეული, საყვარელი ადგილი ჰქონდა ბაღში: ცაცხვის ქვეშ მყუდროთ მიდგმული სკამი. ეხლაც იქ მივიდნენ და ჩამოსხდნენ.

— რა გნებავთ?—დაეკითხა უგემურის ხმით ეკატერინე ივანოვნა.

— მე მთელი კვირაა არ მინახავხართ და თქვენი სიტყვა არ გამიგონია. მითხარით რამე, გამაგონეთ თქვენი ხმა.

ქალის ახლად ათქორებული ტანი, მისი თვალების ბავშვური გამომეტყველება და შეწითლებული ლოყები აღფრთოვანებდნენ სტარცევს და აღტაცებაში მოჰყავდათ. შეყვარებული სტარცევი მის ტანთ-საცმელშიაც კი გრაციასა და სინარნარეს ჰხედავდა. მიუხედავად იმისა, რომ სტარცევი კატოში ბავშვობას და ცხოვრების უცოდინრობას ჰხედავდა, მაინც განვითარებულ ქალად სახავდა მას. მასთან ლიტერატურაზედაც და მხატვრობაზედაც შეეძლო ლაპარაკი, შეეძლო შეეჩივლა მისთვის ცხოვრების უფერულობაზე, ხალხთა გაუტანლობაზე, თუმცა ეს კი იყო, რომ რა ბრძნული ლაპარაკიც უნდა ჰქონოდათ, ხშირად მოჰხდებოდა, რომ შიგ შუა ლაპარაკის დროს ან გადიხარხარებდა, ან და მიანებებდა თავს და გაიქცეოდა სადმე. კატო, როგორც სხვა ყველა ს—ელი გასათხოვარი ქალები, ბევრსა ჰკითხულობდა (საზოგადოდ კი ს—ში ძალიან ნაკლებად ჰკითხულობდნენ წიგნებს, ამბობდნენ კიდეც, გასათხოვარი ქალები და ურიების ახალგაზდობა რომ არ გყავდეს, წიგნთ საცავი დასახურავი გაგვიხდებოდაო); ეს ძალიან მოსწონდა სტარცევს კატოსაგან და ყოველთვის აღტაცებული და აღელვებული ეკითხებოდა, ამ ბოლოს დროს რა წაიკითხეთო და ყოველთვის გატაცებული ისმენდა, როცა კატო წაკითხული წიგნების შინაარსს მოუყვებოდა.

— რასა ჰკითხულობდით ამ კვირაში?—ეხლაც დაეკითხა ექიმი:—მითხარით, გემუდარებით.

— პისემსკის ვკითხულობდი.

— სახელდობრ?

— „ათასი სული“,—მიუგო კატომ.—რა სასაცილო სახელი ერქვა პისემსკის: ალექსეი ფეოფილაქტოვიჩი. ხა, ხა, ხა!

სად მიეჩქარებით?—შეჰყვირა შეშინებულმა სტარცევმა, როდესაც დაინახა, რომ კატო წამოდგა და სახლისაკენ გაეშურა:—მე უსათუოდ უნდა მოგელაპარაკოთ, სათქმელი მაქვს... გეფიცებით, ხუთი წუთი მაინც დარჩით ჩემთან...

ქალი შეჩერდა, თითქოს რიღაცის თქმას აპირებსო, მერე როგორღაც მოუხერხებლად ჩაუდო ხელში ბარათი, შევარდა სახლში და ისევ როიალს მიუჯდა.

„დღეს ღამის თერთმეტ საათზე,—წაიკითხა სტარცევმა ბარათში,—სასაფლაოზე, დემეტტის ძეგლთან ვიქნები, მოდით.“

„ეს კი ჭკვიანური არ გახლავთ,“—გაიფიქრა სტარცევმა, როცა გონს მოვიდა:—რა შუაშია აქ სასაფლაოვო?“

ცხადი იყო—კატიკო ეშმაკობდა. მაშ ვის მოუვა თავში—ღამის თერთმეტ საათზე შორს, სადღაც გადავარდნილს და გადაკარგულ სასაფლაოზე დაენიშნა მოსალაპარაკებელი და შესახვედრი ადგილი, როდესაც ყველა ეს თავისუფლად მოხერხდებოდა საქალაქო ბაღში, ან და ქუჩაზე? მეორეც ეს ერთი, შეჰფერის კი განათლებულ და დამჯდარი ხასიათის ადამიანს, ახალგაზდა ბიჭსავით ოხვრა, ბარათების მიღება და სასაფლაოებზე თრევა, ერთი სიტყვით, ყველა იმის ჩადენა, რასაც გიმნაზისტებიც კი დასცინიან ეხლა? სადამდის მიიყვანს ეს რომანი? რას გადაჰკიდებს? ან ამხანაგები რას იტყვიან, თუ გაიგეს ყველა ეს? ჰფიქრობდა სტარცევი და საკრებულო დარბაზში მაგიდებ შორის ტრიალებდა, მაგრამ შესრულდა თუ არა თერთმეტის ნახევარი, სტარცევმა არც აცივა, არც აცხელა, ჩაჯდა ეტლში და სასაფლაოსაკენ კი გასწია.

მას ეხლა თავის საკუთარი ეტლი ჰქონდა მშვენიერის წყვილი ცხენით და ხავერდის ბლუზაში გამოწყობილი მეეტლით. მთვარე დაჰქათქათებდა ქვეყანას. ირგვლივ სიჩუმე იყო და თბილოდა, თუმცა შემოდგომის სითბო კი იყო ჰაერში. ქალაქის განაპირას, საყასბოებში ძაღლები ღმუოდნენ. სტარცევმა ეტლი ქალაქის განაპირას ერთ ვიწრო მისახვევში დასტოვა და თვითონ ფეხით წავიდა სასაფლაოსკენ. „ყველას თავისი ჟინი აქვს,—ჰფიქრობდა ექიმი,—კატოც როგორღაც საოცარი რამ არის და, ვინ იცის—იქნება? გაიფიქრა ექიმმა და სულ მთლად მიეცა ტკბილს და სასიამოვნო ოცნებებს.

ნახევარი ვერსტი მეტი მინდვრით გაიარა. შორს შავად სასაფლაო გამოჩნდა... შემდეგ თეთრი გალავანი, მერე ჭისკარიც. მთვარის შუქზე თავისუფლად წაიკითხავდა კაცი: „მოვა ჟამი“... დანარჩენი აღარ მოსჩანდა. სტარცევმა გაიარა თუ არა ჭისკარი, თეთრ ჯვრებს, ძეგლებს და მათგან გავრცელებულ ჩრდილებს მოჰკრა თვალი; ირგვლივ თეთრად და შავად რაღაცეები მოსჩანდნენ; მათკენ მიძინებული ხის ტოტები იხრიდნენ თავსა—კაცს ეგონებოდა სასაფლაოზე უფრო ნათელა, სინამ მინდორშიო; პირველ შეხედვით მოხიბლული დარჩა სტარცევი, რადგან არასოდეს არ ენახა ის, რასაც ეხლა ჰხედავდა. მთვარის შუქი ისე მშვენიერი და ფაქიზი მოსჩანდა, თითქოს აქ, საიდამაც სიცოცხლე განძევებულია სრულიად, აქ არის მისი ბუდე და აკვანი, სადაც თუმცა სიცოცხლეს ადგილი არა აქვს, მაგრამ მაინც ხის ყოველ ტოტში და საფლავში რაღაც საიდუმლოება იფარება და მშვიდს, საუკუნოს და მშვენიერ ცხოვრებას უქადის ადამიანსაო. ქვის და კლდის ცივი ძეგლებიდან, გაზაფხულის ფოთოლთა სუნთან ერთად შენდობა და სევდიანი მშვიდობა მოჰპერავდნენ.

ირგვლივ სიჩუმე იყო; ზეციდან დარცხვენილი ვარსკვლავნი იყურებოდნენ და სტარცევის გაბედული ნაბიჯი დაურიდებლივ არღვევდა იდუმალ სიჩუმეს. მხოლოდ მაშინ, როცა ეკკლესიაში საათმა ჩამოჰკრა და ექიმმა თავი მიცვალებულად წარმოიდგინა, მიცვალებულად, რომელიც ჩაუფლავთ ცივს მიწაში და მიუვიწყიათ სამუდამოდ, მას ეგონა ვიღაც მიყურებს ზეციდან და სიჩუმე და მყუდროება კი არა, ყრუ სევდაა სიკვდილისა ირგვლივ და შეკავებული შიშის ზარიო...

დემეტტის ძეგლი პატარა ეკკლესიას წააგავდა და სახურავზე ანგელოზი აჯდა; ს—ში ერთხელ, შემთხვევით იტალიანურმა ოპერამ შემოიარა, მათ ერთი მომღერალი ქალი გადაეცვალათ და მას დაადგეს ეს ძეგლი. ქალაქში აღარავის ახსოვდა ეს მომღერალი ქალი, მაგრამ მის ძეგლში ჩადგმული კანდელი კი მთვარის შუქზე ისე მოსჩანდა, თითქოს ისევ ბჟუტავს მასში სუსტი ცეცხლიო.

ჭაჭანებათ არავინ სჩანდა. ან კი ვინ მოვიდოდა აქ შუაღამისას? მაგრამ სტარცევი კი მაინც მოელოდა და, თითქოს მთვარის სხივები უღვივებენ იმედსაო, გატაცებით ელოდა და კოცნა ხვევნაზე ოცნებობდა... ექიმი იქვე ძეგლის გვერდით ჩამოჯდა და ნახევარი საათი მეტი ასე გარინდებული იყო; მერე გაჰყვა ბილიკებს და სულ შემოიარა სასაფლაო. ძეგლებს და ჯვრების მაყურებელს სულ ის მოსდიოდა თავში—ამ სამარეში რამდენი ახალგაზდა ქალი და გოგონა ჩაფლული, რომელთაც თავის დროზე არც სილამაზე აკლდათ, არც სიფაქიზე და არც თუ სიყვარულს და ცეცხლის წამკიდებელ ალერსს ერიდებოდნენო. რა უდიერად ექცევა ბუნება ადამიანს და რა დაუნდობლად იგდებს მას აბუჩად. სტარცევი ჰფიქრობდა ყველა ამას და თან კი უნდოდა, სწყუროდა დაეყვირა და მთელი ქვეყნისთვის გაეგებინებინა, რომ სიყვარული სურს მას და ელის, ელის მოუთმენლად, გაუმაძღრათ; თეთრ მარმარილოთა ნაცვლად, ის ეხლა მშვენიერ სხეულებს ჰხედავდა, რომელნიც სხეულის ტურფა ასოებს იფარავდნენ დარცხვენით. მათი მაყურებელი სტარცევი სანეტარო სითბოს ჰგრძნობდა, ლოდინი და ოცნება კი გულს უმძიმებდა და სულს უხუთავდა..

უცბად, თითქოს ზეცას ფარდა ჩამოეფარა, ჩამობნელდა ზეცაც და ქვეყანაც. სტარცევმა ძლივს ღა მიაგნო ჭისკარს,—ისე ბნელოდა, როგორც შემოდგომის ღამეში—მერე საათ ნახევარი მეტი იმ ყრუ მისახვევ ქუჩას დაეძებდა, სადაც ცხენები და ეტლი დასტოვა.

— საშინლად მოვიქანცე, ძლივს ღა ვდგევარ ფეხზე,—უთხრა ექიმმა მეეტლეს, როცა მიუახლოვდა და ეტლში როცა ჩაჯდა, ოცნებით გაიფიქრა:

„ეჰ, რა კარგი იქნებოდა, რომ არა ვსუქდებოდე!“.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული

სავალდებულო ნუ იქნებაო. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ვალდებულება უკვე დაუდგენია საბჭოს. გამოვცვალოთ ეს დადგენილებაო, ჰყვირის ფრიდონოვი.

ხმ. სულხანოვი არა ნაკლების გაცხარებით იცავს წარმოდგენილ პროექტს და ამტკიცებს, რომ ქალაქის კეთილდღეობისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს „პლაკატზე“ სახლის ნომრის გარდა ქუჩის სახელი და პოლიციის ნაწილიც იყოს აღნიშნულიო; რაც შეეხება სახლის პატრონის სახელსა და გვარს, იგი არ შეადგენს ასეთ აუცილებელ საჭიროებას, რადგან სახლის პატრონები ამ ბოლოს დროს ხშირად იცვლებიანო. ფრიდონოვი ცხარობს, მაგრამ ლაპარაკის ნებას არ აძლევენ. შეუდგნენ პლაკატის ფორმის პოეტურ-მეცნიერულ აწერილობის კითხვას: „პლაკატს აქვს ლირასებური ფორმა“-ო და სხვა-და-სხვა მარტო ამის წაკითხვას მოუნდა ხუთი წამი. ქალანთარს არ მოსწონს პლაკატის ნიმუში. არც არშაკ ბაბოვს მოსწონს და გრძელ სიტყვაში ამტკიცებს კიდეც, თუ რად არ მოსწონს. ლისიციანიც ამავე აზრისაა და თან განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პლაკატის ფონს. ქოჩორიანცს ხელში უკავია პლაკატი, დასცქერის დიდის ყურადღებით და ამბობს, რომ სახლის პატრონის ფოტოგრაფიულ სურათების მეტი არაფერი აკლია პლაკატსო და რათ გვინდა ყველა ეს, როცა ჩვენი სახლები ბანკების არისო. მელიქ-ბეგლაროვს არ მოსწონს ლირის ფორმა; მისი ღრმა რწმენით ოთხკუთხი ან რგვალი პლაკატი უფრო კარგი იქმნებოდა. გრიქუროვი უფრო პლაკატის ნივთიერებას აქცევს ყურადღებას: ცინკი არ მოსწონს, თიხა უფრო კარგი იქმნებაო. ალიბეგოვის აზრით, აუცილებელია, რომ პლაკატი ფაიანსისა იყოს. ავთანდილოვს უკვირს ასეთი ხანგრძლივი კამათი და თვითონ კი ევროპის ქალაქების მოწყობის აღწერას შეუდგა. ი. მალიხანოვი წარმოდგენილ პროექტის მხურვალე მომხრეა: შარშან გადავწყვიტეთ შეგვემუშავებინა ეს სავალდებულო დადგენილებანი, ამოვირჩიეთ საგანგებო კომისია, კომისიამ დიდ-ხანს იმუშავა, წარმოგვიდგინა პროექტი, პროექტის განხილვას ორი სხდომა მოვანდომეთ და ეხლა კი გვეუბნებიან ეს ყველაფერი სულ მეტი არისო. გამოდის, რომ სულ ტყუილა უბრალოდ გვიმუშავნია. ასეთ შესავლის შემდეგ, ორატორი შეუდგა წარმოდგენილ პროექტის ღირსებათა ჩამოთვლას; დაამტკიცა ლირას ფორმის უპირატესობა და ბოლოს მწუხარება გამოაცხადა იმის გამო, რომ საგანგებო კომისიის სინიდისიერ ნაშრომს ასე უდიერად ეპყრობიან ხმოსნები. ვინ იცის კიდევ რამდენი ილაპარაკეს და ბოლოს, როგორც იქმნა, გადაწყდა, რომ წარმოდგენილი პლაკატი არ ვარგა, და რომ სახლზე ნომრის მეტი არაფერი არ უნდა იქმნეს. რაც შეეხება ნომრის ფორმას, ეს შემდეგ უნდა შეიმუშავონ. გარდა ამ სავალდებულო დადგენილებათა განხილვისა, საბჭომ ამ სხდომაზე ცხადათ გამოარკვია, რომ ტფილისი ვერ ეღირსება ქუჩების ქვით-მოფენას, თუმცა ამ საქმისათვის 600 ათასი მანეთი აქვთ კასაში: ტრამვაის უსახელო საზოგადოების ნება-სურვილზე ყოფილა დამოკიდებული ყველაფერი. ქუჩის ერთი წილი ტრამვაის საზოგადოების გასაკეთებელია და ქალაქს მაშინ შეუძლია დაიწყოს მუშაობა, როცა ხსენებული საზოგადოება შეუდგება საქმეს. ეს კი ასე ადრე არ მოხდება, რადგან, როგორც ფრიდონოვმა გამოაცხადა, ამ საზოგადოებას სადღაც რაღაც საქმეში 250 მილიონი უზარალნია.

საქალაქო საქმეთა საკრებულოს არ დაუმტკიცებია ქალაქის დამატებით ხარჯთ-აღრიცხვა (19,545 მ.), რადგან ასეთი ხარჯთ-აღრიცხვა, კანონით, საგანგებო პირობებით უნდა იყოს გამოწვეული და ეხებოდეს ისეთ საგნებს, რომელთა შეტანა ჩვეულებრივ ხარჯთ-აღრიცხვაში შეუძლებელი იყოო. საბჭო არ დაეთანხმა საკრებულოს ამ დადგენილებას და გადასწყვიტა მისი სენატში გასაჩივრება.

ძველი საბჭო აღარ არის, მაგრამ ვაი რომ მეტი წილი ამ „საქმიან“ ხალხისა ახალ საბჭოშიაც მოჰყვა!

ქუთაისის საექიმო საზოგადოების მორიგი კრება

(დასასრული *)

შინაგან ავადმყოფობის განყოფილებაში საანგარიშო დროს განმავლობაში წოლილა 949 მამაკაცი და 448 დედაკაცი; სულ—1397, რომელთაგან სრულიად განკურნებულა, ან უკეთ შექმნილა 1053, ცვლილების მოუხდენლად გასულა საავადმყოფოდან 205, გარდაცვლილა—53; ამგვარად გარდაცვლილთა რიცხვი შეადგენს 4%. ავადმყოფობის უმეტესი ნაწილი ყოფილა სხვა-და-სხვა გვარი ციება (малярія). ქალთა განყოფილებაში ათის წლის განმავლობაში წოლილა 780 ქალი, რომელთაგან მორჩენილა 723, უცვლელად გამოსულა საავადმყოფოდან 45, გარდაცვლილა 10; ასე რომ გარდაცვლილთა რიცხვი შეადგენს მხოლოდ 1,2%.

ეხლა შევეხოთ ბ-ნ თოფურიას საავადმყოფოს ამბულატორიო განყოფილებას. 1890 წელს სამკურნალოთი უსარგებლნია 3650 ავადმყოფს, რომელნიც 8,739-ჯერ მისულან სამკურნალოში; 1900 წელს კი უსარგებლნია 5216 ავადმყოფს, რომელთაც სამკურნალოში მისვლა 10,009 ჯერ დასჭირებიათ. საანგარიშო ათი წლის განმავლობაში კი სამკურნალოთი უსარგებლნია სულ 47,593 ავადმყოფს, რომელნიც 100,576 ჯერ ყოფილან სამკურნალოში.

ამ ანგარიშის წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარემ ს. ი. ხენინოვმა და ბ-ნთ ტოპოროვმა და სხვებმა მოკლე სიტყვებით მიჰმართეს საავადმყოფოს მმართველს ბ-ნ თოფურიას. იმათ აღნიშნეს ბ-ნ თოფურიას დაუღალავი შრომა და საკვირველი მხნეობა, რომ ერთმა კაცმა, მიუხედავად მრავალგვარ დაბრკოლებისა, შესძლო ასეთის სამაგალითო საავადმყოფოს შექმნა. ბ-ნმა თოფურიამ მადლობა მოახსენა ამხანაგებს თანაგრძნობისათვის.

დონ-ჯადიანი

თეატრი

ქუთაისი. 9 ნოემბერს ქალაქის თეატრში საქველ-მოქმედო საზოგადოების თავმჯდომარის ქ-ნ სმაგინის გამგეობით, გამართული იყო კონცერტი იმ ოჯახთა და წევრთა სასარგებლოდ, რომელნიც დაშავდენ და დაიღუპნენ „კურინსკის რაზმის ყაზარმის კედლების ჩამონგრევის დროს. კონცერტზე მონაწილეობას ღებულობდა, გარდა დრამატიულ ტენორის ბ-ნ ბარხუდარიანისა, ქ-ნი ბოგუსლოვსკისა და ჩვენი მოღვაწის ფილ. ქორიძის შვილი მ. ქორიძე (ვიოლონჩელისტი). სწორედ ამ უკანასკნელთა მონაწილეობამ გამოაცოცხლა ეს სასიმღერო საღამო. ბ-ნმა ბარხუდარიანმა იმღერა იტალიურად, რუსულად, ქართულად და სომხურადაც და კარგი ცოდნაც გამოიჩინა მუსიკისა. საზოგადოებამ ტაშის ცემით დააჯილდოვა. დიდად დასტკბა საზოგადოება მ. ქორიძის ვიოლონჩელით. ვინც ამ საღამოს თეატრში არ დაესწრო და არ მოისმინა ბ-ნ ქორიძის მიერ შესრულებული დასაკრავები ვიოლონჩელზე, იგი უსათუოდ ერთ სიამოვნებას მოაკლდა. საზოგადოებამ დიდი ტაშის ცემით დააჯილდოვა და ხშირად ამეორებინებდნენ სხვა-და-სხვა დასაკრავებს და ბ-ნი ქორიძეც სიამოვნებით უსრულებდა დამსწრე საზოგადოებას სურვილს. არა ნაკლები ყურადღება დაიმსახურა საზოგადოებისა ქ-ნმა ბოგუსლოვსკისამ, რომელმაც ტკბილად შეასრულა სიმღერები და მსმენელებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს მომღერალიც ხშირის ტაშის ცემით იქმნა დაჯილდოებული და რამდენჯერმე გაამეორებინეს სიმღერები. კონცერტის დღეს თუმცა კოკისპირული წვიმა იყო, მაგრამ თეატრი მაინც სავსე იყო საზოგადოებით. შემოსავალი 80 თუმანს აღემატებაო, როგორც გვითხრეს.

დაბა-სოფლები

ლანირი (იმერეთი). დღესასწაულებს ჩვენებურებისთვის მეტად დიდი ზარალი მოაქვს. მოაღწევს თუ არა დრო დღესასწაულისა, დიდი და პატარა მხოლოდ იმაზედა ჰფიქრობს, რომ როგორმე ფული იშოვოს და ნასესხების ფულით გაუმასპინძლდეს მოწვეულ და მოუწვეველ სტუმრებს. მთელი სამი დღე და ღამე არის ყოველ ღარიბ თუ მდიდარ ოჯახში ერთი ტაშის-ცემა, ღვინის სმა და ხშირად, ვითარცა შედეგი სმისა, ცემა-ტყეპაც. გაიგონებთ ამ დროს, რომ ამა და ამ ოჯახში ერთმა გაუბატონმა სასიკვდილოდ დასჭრა კაცი. იქ მეორემ მასპინძელს სუფრა წაუქცია და თუ რამ ებადა, სულ ერთიანად დაუმსხვრია და სხვა-და-სხვა. დღეობის შემდეგ ბევრი მემოკტორის შავის ცრემლით: ამ დღესასწაულმა გამაღატაკა კაცი, არასოდეს აღარ დამრჩენია; ყველაფერს გავუძლებდი, მაგრამ ღვინის ყიდვამ გამაკოტრაო. ზოგიერთმა ოჯახებმა უკვე მოსპეს აქ ასეთი ხარჯი და ქეიფი.

გზების შეკეთების საქმე დანირლებს მიუნდვიათ რამდენისამე კაცისთვის, მაგრამ ისინი მხოლოდ ზედამხედველის სახელს ატარებენ, გზები კი გაუკეთებელი რჩება. გზა ისეა გაფუჭებული, რომ არა ერთხელ შემთხვევა ხოლმე ხიფათი დილიჟანს, რომელიც დანირიდან სამტრედიას დადის ყოველ დღე.

მიწის მოსავალი წელს დანირში კარგია. ჩვენში გავრცელებულია მებაღეობა. ყველა გლეხსა და აზნაურს აქვს ბაღი, რომელიც გვარიან შემოსავალს აძლევს პატრონს. ერთმა გლეხმა მითხრა, შარშან ჩემმა ბაღმა სამას მანეთამდე მომცაო.

დანირის ორ-კლასიან სკოლის მახლობლად ხუთიოდე დუქანია, ორი ამათგან სამიკიტნოა. ათასი უწესოება ხდება ამ დუქნებში. სკოლა შორს მაინც იყოს ამ დუქნებზე!.

და—ბა

სასამართლო

კაცის მოკვლის საქმე

1900 წელს, დეკემბერს, ქუთაისის გუბერნიის სოფელ დანირის საზოგადოების მამასახლისის არჩევანს შესდგომიან. არჩევნების დაწყებამდე, რამდენისამე დღის წინად, პატარა ჯიხაიშის მცხოვრებს აზნაურს მინა დოლაბერიძეს მიუმართავს ამავე სოფლის მცხოვრებ მიხეილ აბზიანიძისათვის და უთხოვნია დახმარება, რომ მამასახლისად მაქსიმე აბზიანიძე აერჩიათ. მიხეილ აბზიანიძეს უთქვამს, მე მაგ საქმეში ვერ დაგეხმარები და ჩემის მხრით ვეცდები მამასახლისად აბზიანიძე არ იქნეს ამორჩეულიო- დოლაბერიძეს ეს პასუხი არ მოსწონებია. 11 დეკემბერს, მამასახლისის არჩევნების შემდეგ, დოლაბერიძეს უთქვამს აბზიანისათვის: ვინ ამოირჩიეს მამასახლისადო? აბზიანიძეს უპასუხნია: მამასახლისი მე კი არა, საზოგადო ერილობამ ამოარჩიაო. ამაზე დოლაბერიძეს აბზიანისათვის სილა შემოუკრავს ყბაში. ნაცვლად აბზიანიძეს ჯოხი დაუკრავს დოლაბერიძისათვის, რომელსაც უძგრია ხანჯალი და რაც ძალი და ღონე ჰქონია, დაურტყამს თავში აბზიანიძისათვის, რომელიც რამდენისამე დღის შემდეგ გარდაცვლილა, ხოლო დოლაბერიძე გაქცეულა და დამალულა. ეს საქმე გაურჩევია ქუთაისის ოლქის სასამართლოს 1901 წლის 13 ივლისს, დამნაშავედ უცვნია დოლაბერიძე და გადაუწყვეტია ზოგიერთ განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში $1^1/_2$ წლით გაგზავნა. სამოსამართლო პალატამაც, რომელმაც ეს საქმე გუშინ, 12 ნოემბერს განიხილა, დამნაშავედ იცნო დოლაბერიძე და დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 ნოემბერი

მიტავა. ელევატორებთან აუარებელი ხორბალია მოზიდული; ამდენი არასოდეს არ ყოფილა.

ლვოვი. 17 ნავთის ჭა დაიწვა ღამით; ერთი კაცი დაიწვა, ერთიც დასახიჩრდა.

პეკინი. ამ დღეებში ჩინელებმა ჩინეთის ბაირაღი გაჰშალეს ტონჩანის ქვა-ნახშირის მადნებზე. ინგლისის, ელჩმა უბრძანა ინგლისელთა ჯარის უფროსს ჩინეთის ბაირაღი ჩამოხსენით და ინგლისისა გაჰშალეთო.

ლონდონი. 10 ნოემბერს კიტჩენერი ადენს მივიდა და დიდხანს ელაპარაკა მაიტლანდს, რომელიც სომალიელის წინააღმდეგ გაგზავნილ ინგლისელთა ჯარის უფროსადაა.

12 ნოემბერი

მადრიდი. მინისტრთა საბჭომ კომისია დანიშნა, რომელმაც უნდა განიხილოს საქმე სამღვდელოების შესანახ ხარჯის შემცირების შესახებ.

კოლომნა. საერობო კრებამ მიიღო გამგეობის თავმჯდომარის საზონოვის წინადადება იმის შესახებ, რომ მის იმპერატორებითი უდიდებულესობის ფეხთა წინაშე გამოთქმულ იქმნას ერთგულებისა და მადლობის უქვეშევრდომილესი გრძნობანი იმ მოწყალე ყურადღებისათვის ერობის საქმისა და იმის მოღვაწეთადმი, რომელიც მისმა უდიდებულესობამ კურსკში ერობის წარმომადგენელთ გამოუცხადა. ხმოსანმა, გლეხმა მორკუნოვმა, ხელმწიფის მიერ ერობის მოღვაწეთადმი ნდობის გამოთქმის სახსოვრად, წინადადება შეიტანა დაარსდეს მაზრაში საშუალო საერობო საპოლიტეხნიკო სასწავლებელი იმათთვის, ვინც საერობო სკოლებს დაამთავრებენ.

ლონდონი. ჩემბერლენის სიტყვის შემდეგ პალატამ, 213 ხმით 120 ხმის წინააღმდეგ, უარ-ჰყო გარკურის წინადადება და დასთანხმდა ბალფურის წინადადებას ბრიუსელის შაქრის კონფერენციის მიღების შესახებ.

პარიზი. პალატაში რეიდი შეეკითხა მთავრობას ხმელთა-შუა ზღვის ესკადრის ზღვაოსანთა შემცირების შესახებ. საზღვაო მინისტრმა მიუგო, რომ ზღვაოსანთა შემცირება მხოლოდ საზამთრო დროისთვის არისო. რეიდის ფორმულა პალატამ 293 ხმით 231 ხმის წინააღმდეგ უარჰყო. ბურრის ფორმულა, რომლითაც მოწონებულია მინისტრის აზრი, მიღებულ იქმნა 288 ხმის უმრავლესობით 204 ხმის წინააღმდეგ.

პეტერბურგი. დიდ მთავრინას ქსენია ალექსანდრეს ასულს ეყოლა ვაჟი, რომელსაც სახელად ეწოდა როსტისლავი.

პლოცკის გუბერნატორი გორდეევი გადაყვანილ იქმნა კურსკის გუბერნატორის ადგილზე.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—51)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ნოემბრის 16 რიცხვს, ნაშუადღევის 1-ლ საათზე, გამგეობის სადგომში ვაჭრობაა დანიშნული, რომ **ქალაქის სასწორებზე ასაღები გადასახადები** იჯარით გაიცეს სამის წლით. გაიცემა შემდეგი სასწორების შემოსავალი: თათრის მოედნისა, დესიმონის მოედნისა, ვერის მოედნისა, ავლაბრისა, მალაკნებისა და სალდათის ბაზარზე.
დაწვრილებითი პირობები ქალაქის გამგეობის მეოთხე განყოფილებაში შეუძლია მსურველს შეიტყოს, კვირა-უქმეებს გარდა, ყოველდღე, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. (2—2)

ხის
ნახშირის საწყობი
იაგორ მამინაიშვილისა
(საკუთარი ტყიდან)
ვერის მოედანზე, ყაფანთან
ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი.**
შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.).
ტელეფონი № 754. (წ.)

ნატურელი თმის სადებავი
გოლენდერისა.
ეს სადებავი უვნებელია და მკვიდრი. შეიძლება თმის იმგვარად შეღებვა, რა ფერისაც ბუნებითაა: შავად, წაბლის ფერად ¢ სხვ. **სადებავი ნატურელი** არ მოქმედებს ცუდად თმაზე. კოლოფი ჰღირს 1 მან. 50 კაპ., გაგზავნით 2 მან. იყიდება ყველა აფთიაქსა და საპარფიუმერო მაღაზიაში: სავაჭრო სახლი „საპარფიუმერო ლაბორატორია ი. გოლლენდერ“, პეტერბურგი, რაზიეზჟაია, 13.
განცხადება დაბეჭდილია „პრავიტ. ვესტნ.“-ში № 216, 4 ოქტომბერს 1902 წ. (5—4)

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1982.